უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 04

2018 წ. "22" 02

ქ.თბილისი

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტისშესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელიპროფესიულიკვალიფიკაცია (კოდის მითითებით)	სწავლების ენა	კრედიტები სრაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტებისრაოდენობაარაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილებისზღვრულირაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	ქართული	115	145	60	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
2	საფინანსო სერვისები	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	ქართული	55	70	50	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი